საბანგებო სიტუაციების მართვის სამსახური

EMERGENCY MANAGEMENT SERVICE

ES 1 18 00086628

13/12/2018

სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის
III-IV კლასის შენობა-ნაგებობების სანებართვოგანყოფილების
პირვლადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს
თეონა ახალაშვილს

ქალბატონო თეონა,

თქვენი 2018 წლის 11 დეკემბრის N60-01183451784 წერილის პასუხად (სამსახურში რეგისტრაციის თარიღი 11.12.2018 N 85978) გაცნობებთ, რომ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სპეციალისტების მიერ „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57-ე დადგენილების 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ[1]“ ქვეპუნქტის შესაბამისად, განხილული იქნა ქალაქ თბილისში, სტეფანე ჭრელაშვილის ქუჩა N1-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.07.13.051.011) ასაშენებელი მრავალფუნქციური შენობის არქიტექტურული პროექტი სახანძრო უსაფრთხოების მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტებთან ან/და სტანდარტებ-თ-ან შესაბამისობის ნაწილში.

განხილვის შედეგად დადგინდა, რომ წარმოდგენილი დაპროექტების დოკუმენტაცია (არქიტექტურული ნაწილი), რომელშიც საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 2018 წლის 26 ნოემბრის N ES 2 18 00081039 წერილის საფუძველზე შეტანილი იქნა შესაბამისი ცვლილება-დამატებები, შეესაბამება „ტექნიკური რეგლამენტი შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილების და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის N52 დადგენილების მოთხოვნების შესაბამისად აღიარებული და საქართველოს ტერიტორიაზე დროებით სამოქმედოდ დაშვებული სამშენებლო ნორმების და წესების, ტექნიკური რეგულირების სხვა დოკუმენტების მოთხოვნებს.

ამასთან ერთად გაცნობებთ, რომ აუცილებლად მიგვაჩნია მშენებლობის სანებართვო პირობებში ასახული იქნეს შენობის ქვემოთ ჩამოთვლილი ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების მოწყობის საკითხები, რომელთა დაპროექტების დოკუმენტაცია ორი თვის ვადაში წარმოდგენილი იქნეს განსახილველად, მათ შორის:

ა) შენობის გარე ხანძარსაწინააღმდეგო წყალგაყვანილობის ქსელების მოწყობა დადგენილი წესით შემუშავებული დაპროექტების დოკუმენტების შესაბამისად;

ბ) შენობის შიდა ხანძარსაწინააღმდეგო წყალგაყვანილობის ქსელების მოწყობა დადგენილი წესით შემუშავებული დაპროექტების დოკუმენტების შესაბამისად;
გ) შენობაში ავტომატური სახანძრო სიგნალიზაციის მოწყობა დადგენილი წესით შემუშავებული დაპროექტების დოკუმენტების შესაბამისად;
დ) კვამლსაწინააღმდეგო ვენტილაციის სისტემის მოწყობა დადგენილი წესით შემუშავებული დაპროექტების დოკუმენტების შესაბამისად;
ე) ხანძრის ჩაქრობის ავტომატური სისტემის მოწყობა დადგენილი წესით შემუშავებული დაპროექტების დოკუმენტების შესაბამისად;
ვ) შენობაში ხანძრის შესახებ შეტყობინებისა და ადამიანთა ევაკუაციის მართვის სისტემების მოწყობა დადგენილი წესით შემუშავებული დაპროექტების დოკუმენტების შესაბამისად;
ზ) ელექტროდანადგარებისა და მეხდაცვის სისტემების მოწყობა დადგენილი წესით შემუშავებული დაპროექტების დოკუმენტების შესაბამისად.

პატივისცემით,

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური /
ზედამხედველობის დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი
თალაკვაძე ზურაბი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **18-01183583345**
თარიღი: **24/12/2018**
პინი: **2279**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა განიხილა თქვენი 2018 წლის 20 დეკემბრის #60-0118354561 წერილი და თანდართული დოკუმენტაცია (AR1639256), რომლითაც ითხოვთ მოქალაქე ალექსანდრე დიღმელაშვილის მომართვის საფუძველზე, შპს ,,ისანის'' საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ქ. თბილისი, სტეფანე ჭრელაშვილის ქუჩა #1 ს.კ. #01.17.13.051.011) (სსზ-2) IV კლასის მრავალფუნქციური კომპლექსი/ შენობის არქიტექტურული პროექტის შეთანხმების ეტაპზე, გამწვანების პროექტთან დაკავშირებით სამსახურის პოზიციის დაფიქსირებას.

გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი გამწვანების პროექტის თანახმად, ტერიტორიაზე არსებული 2 ძირი ცაცხვი, 2 ძირი კაკალი, 1 ძირი თუთა (გადასარგავი) 1 ძირი ტუია (გადასარგავი), 7 ძირი ბუჩქი და ახალი გამწვანებული სივრცეების მოსაწყობად გასაშენებელი მწვანე ნარგავები რაოდენობა, სულ 16 ძირი (8 ძირი მარადმწვანე მუხა, 8 ძირი იტალიური ფიჭვი, 629.8 კვ.მეტრი გაზონი) სრულად ითვისებს კ3 გამწვანების კოეფიციენტის მინიმალურ საანგარიშო ფართობს (528 კვ.მ). გასამწვანებლად შემოთავაზებული საპროექტო მცენარეები (სახეობები შერჩეულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის #05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან) შერჩეულია კლიმატური, ნიადაგობრივი, დეკორატიული და ურბანული პირობების გათვალისწინებით, ამდენად სამსახური თანახმაა არსებული სახით შეითანხმოს გამწვანების პროექტი.

აქვე გაცნობებთ, რომ მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების მართვა უნდა განხორციელდეს საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსის“ შესაბამისად. იმ შემთხვევაში თუ წარმოქმნილი ინერტული ნარჩენები გამოიყენება ამოვსების ოპერაციებისთვის ან მშენებლობის მიზნებისთვის, საჭიროა მომზადდეს პროექტი, რომელიც უნდა შეთანხმდეს შესაბამის უწყებასთან (ნარჩენების მართვის კოდექსი 21-ე მუხლის მე-5^1 პუნქტი).

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

გიგა გიგაშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი